



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია



წერილის ნომერი: 30-302322161
 თარიღი: 09/08/2023

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს**

ბატონო ბესიკ,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, წერილობითი განცხადებით მომართა სს „სილქნეტის“ (ს/კ 204566978) საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ვერა დუდუჩავამ, (კანცელარიის N 10/302318555-30 - 04.07.2023 წ) რომელმაც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, ხუთი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 27.00.336 საკადასტრო კოდზე განთავსებული 70 გარე განათების კონსტრუქციიდან, 45 გარე განათების ბოძზე (სს „სილქნეტის“ დარეგისტრირებულ განცხადებაზე თანდართულ სქემატურ ნახაზზე აღნიშნული ბოძი) არსებული მონაკვეთი - წერტილი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ სს „სილქნეტს“, მის მიერ მოთხოვნილი მუნიციპალური ქონება, გადაეცეს ხუთი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. აღნიშნულმა სამსახურმა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის,

საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და შპს „საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2023 წლის 23 ივნისის N284 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, ერთ ერთეულ ბოძზე არსებული მონაკვეთის (ნაწილის) წლიური სარგებლობის უფლების ღირებულება განსაზღვრა 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ჯამში 45 გარე განათების ბოძის სარგებლობის ღირებულება შეადგენს 225 (ორას ოცდახუთი) ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ თქვენს თანხმობას.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ირაკლი ხუხუნაიშვილის კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი





**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური**



წერილის ნომერი: **08-302321950**
თარიღი: **07/08/2023**

ადრესატი:

ალექსანდრე სარიშვილი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერო

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის
განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის**

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით, გადაცემის შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლიანი ან უსასყიდლოდ, ამავე დადგენილების 36 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს 2023 წლის 3 ივლისს N 531/14-6 წერილით მომართა (კანცელარიის N 10/302318555-30 - 04.07.2023 წ) სს „სილქნეტი“-ს (ს/კ 204566978) საოპერაციო მიმართულების დირექტორმა ვერა დუდუჩავამ, რომელშიც მოთხოვნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქუჩაზე განთავსებულ 70 გარე განათების კონსტრუქციიდან

(საყრდენი ბოძი) 45 ბოძის გადაცემა იჯარით, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა სს „სილქნეტს“ გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანის ქუჩაზე განთავსებულ 70 გარე განათების კონსტრუქციიდან (საყრდენი ბოძი) 45 გარე განათების ბოძის **ნაწილი - წერტილი** ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით, წლიურ საიჯარო ფასის ოდენობად განისაზღვროს თითოეული ბოძის ნაწილ-წერტილისათვის 5 ლარი, ხოლო ხელშეკრულების ვადად 5 წელი.

გთხოვთ დაავალოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს შესაბამისი პროექტის მომზადება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე განსახილველად.

პატივისცემით,

ვარდენ კვაჭაძე

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილება-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური



წერილის ნომერი: 08-302322137
თარიღი: 09/08/2023

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-ადმინისტრაციული და
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და სამართლებრივი
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს
შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა

ჩვენი 2023 წლის 7 აგვისტოს N 08-302321950 მოხსენებით ბარათთან დაკავშირებით
გაცნობებთ რომ წლიურ საიჯარო ქირის საფასური შეადგენს 225 (ორასოცდახუთი
ლარი) ლარს.

პატივისცემით,

ვარდენ კვაჭაძე

ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის
განყოფილება-ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი

№ 531/14-6

" 03 " 07 2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას

თქვენი 27/06/2023 წლის N 30-302317844 წერილის პასუხად სს „სილქნეტი“ მოგმართავთ თხოვნით, ლანჩხუთში, ნოე ჟორედანიას ქუჩაზე (ს/კ 27.00.336) , იჯარით გადმოგვცეთ 45 ცალი მუნიციპალიტეტის გარე განათების ბოძი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისთვის, თანდართული სქემატური ნახაზის მიხედვით ხუთი წლის ვადით.

დანართი: სქემატური ნახაზი 8 ფურცლად

პატივისცემით,



ვერა დუდუჩავა

საოპერაციო მიმართულების

დირექტორი

საკონტაქტო: 555264422



კომენტარი

და ტოკუერი კაბელის მონტაჟი ახალ ბოძებზე 1292.0

- პირობითი ნიშნები**
- არსებული სატ. კაბელი/ზარია
 - არსებული სადემონტაჟო ბოძები
 - ახალი ბოძები
 - ოტიკური კაბელის მონტაჟი ახალ ბოძებზე
 - არსებული ენერგორის ბოძი
 - რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი
 - არსებული შენობა ნაგებობა

1-2	
<p>ლამბუაძე, ივანე ჯორჯიანიძე ქ. თბილისი, ადრე. ბ. ახ. კაბელის მონტაჟი კომუნიკაციების ადგილმასმელის მონტაჟი</p>	
სახ. ან. ნაგებობები	CRM ID: 429074
საგებარსო ნახაზი	ს. ს. აღმოს. 41 მძ. ბ. ახ. კაბელის მონტაჟი
ს. დამტკიცებულია	ფურცელი: 30
პ. კორექტივი	1 1



უტიკური კაბელების მონტაჟი ახალ ზოდეზე

12

1:1,000

1:1,000

ბმ

2

1-2

თავუკავშირის ქუჩა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დასახელებული ქუჩა

9900-0014

270654463270654072

270654462

270654180

თავუკავშირის ქუჩა

27

270654313

270654184



4

1488.4

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მართვა

ოტკუური კაბელების მონტაჟი ახალ ბოძებზე

1:1,000


1:1,000

შპს


3

1-2

270654 034



270546112
004



270546160

270546163

270546129

270546126

1:1,000

270546012

1:1,000

33

4


1-2


ოტკური კაბელის მონტაჟი ახალ ბოძებზე

ოტკური

270547095 270547326

270547414





1-2

5

ოტვივრი კაბელის მონტაჟი ახალ მოძებზე

270547160

270547220

270547286

270547319

270547197

270547432

270547288

1:1,000

1:1,000





ოტვივური კაბელების მონტაჟი ახალ ბოძებზე

1:1,000

1:1,000

სსს

6

1-2

27054


270548027

270548497

270548359

270547398

270547382



პროექტი

არსებული სატ. კანალიზაცია
 არსებული კა
 არსებული საცემონტაჟო ბოძები
 ახალი ბოძები
 არსებული ენერგორის ბოძი
 ობიექტის კაბელის მონტაჟი ახალ ბოძებზე
 სათვალავო კაბელი
 საპროექტო ქვიშა
 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი
 არსებული მონობა ნაკვეთი

პროექტის ნიშნები

1-2

სახაზო ნაგებობები

სამებროვო ნახაზი

ს.ს. სიქნელი
 გ. ბიძია
 Date: 4.10.2020
 Time: 12:52:11 P.M

სახაზო ნაგებობები

სამებროვო ნახაზი

ს.ს. სიქნელი
 გ. ბიძია
 Date: 4.10.2020
 Time: 12:52:11 P.M

კომენტარი

ოტვიკური კაბელის მონტაჟი ახალ ბოძებზე 174.5 მ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სს „სილქნეტს“ (ს/კ 204566978) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, ხუთი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანის ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 27.00.336 საკადასტრო კოდზე განთავსებული 70 გარე განათების კონსტრუქციიდან, 45 გარე განათების ბოძზე (სს „სილქნეტის“ დარეგისტრირებულ განცხადებაზე თანდართულ სქემატურ ნახაზზე აღნიშნული ბოძი) არსებული ნაწილი - წერტილი.

მუხლი 2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, კერძოდ ერთ ერთეულ ბოძზე არსებული მონაკვეთის (ნაწილის) წლიური სარგებლობის უფლების ღირებულება, შპს „საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2023 წლის 23 ივნისის N284 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ჯამში 45 გარე განათების ბოძის სარგებლობის ღირებულება შეადგენს 225 (ორას ოცდახუთი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე



N 42/06

23 ივნისი 2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ალექსანდრე სარიშვილს

ბატონო ალექსანდრე,

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ასოციაცია თქვენი 2023 წლის 22 ივნისის N 30-302317351 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეფასების აუდიტორულ დასკვნას.

დანართი: 10 ფურცლი.

პატივისცემით,

დავით ხოსრუაშვილი
ასოციაციის პრეზიდენტი



ქ.თბილისი, კოსტავას # 23
ტელ.: (995 32) 551 993 992
ტელ: (995 32) 2 998 993
Email: georgejibladze7@gmail.com
Email: cgk975@gmail.com

შპს „საკონსულტაციო ჯგუფი
კავკასაუდიტი“

N 284
23 ივნისი 2023 წელი

აუდიტორული დასკვნა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განთავსებული
გარე განათების ბოძების საწყისი წლიური
საიჯარო ქირის შეფასება

საქართველოს პარლამენტთან არსებული
აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ
გაცემული, სერტიფიკატი № # ბაფ/011
2012 წლის 25 იანვარი პროფესიონალი
ბუღალტრის სერტიფიკატი # 0049,
აუდიტორების სახელმწიფო რეესტრში
რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-491208
და SARAS-F-829970, უძრავი სკემა N2 A-0904;
მომრავი სკემა N3 P- 0332

თბილისი
2023 წელი

დასკვნა

წინამდებარე საშემფასებლო ანგარიში მომზადებულია 2023 წლის 23 ივნისს, რის საფუძველსაც წარმოადგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 22 ივნისის N 30-302317351 წერილი. შეფასების საგანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული ხაზოვანი ნაგებობის გარე განათების ბოძზე ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისთვის წლიური საიჯარო ქირის დადგენა. საშემფასებლო ანგარიშში მოცემული ღირებულება წარმოადგენს შემფასებლის მიერ პროფესიული ცოდნისა და ჩვევების საფუძველზე ჩატარებული განსჯის შედეგს და ქონების ღირებულების შესახებ ობიექტურად დასაბუთებულ აზრს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ბოძის (1-დან 100-მდე ერთეულის ; - 100-დან 500-მდე ერთეულის; - 500-დან 1000-მდე ერთეულის და - 1000 ერთეულის და მეტის შემთხვევაში შემთხვევაში, (შემდგომში „შეფასების ობიექტი“)) სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით) შეფასება 2023 წლის ივნისის თვის მდგომარეობით.

მონაცემები ღირებულების ფორმირებაზე არსებითი ზეგავლენის მომხდენი ფაქტებისა და გარემოებების შესახებ მოყვანილია წარმოდგენილი დასკვნის შესაბამის ნაწილებსა და დანართებში.

დასკვნაში მოყვანილი ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით 2023 წლის 23 ივნისის მდგომარეობით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების 1 ერთეული ბოძის - (შემდგომში „შეფასების ობიექტი“) წლიურმა საწყისმა საიჯარო ქირამ (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით) განთავსების მიზნით შეადგინა:

- 1-დან 100-მდე ერთეულის შემთხვევაში 35 თეთრი
- 100-დან 500-მდე ერთეულის შემთხვევაში 30 თეთრი
- 500-დან 1000-მდე ერთეულის შემთხვევაში, 25 თეთრი
- 1000 ერთეულის და მეტის შემთხვევაში შემთხვევაში 20 თეთრი
- კვლევა ჩატარებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ 2020 წელს გამოცემის შესაბამისად.

შემფასებელი ადასტურებს შემდეგს:

- მოცემულ დასკვნაში წარმოდგენილი კვლევები, გაანგარიშებები და დასკვნები ნამდვილია შესაბამისი დაშვებების, შეზღუდვების და ობიექტის შეფასების შედეგის გამოყენების შეზღუდვის გათვალისწინებით;
- შეფასება განხორციელებულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, შემფასებლის

ქცევის კოდექსის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემფასებლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით;

- შემფასებელს არც წარსულში, არც აწმყოში და არც ახლოეს მომავალში არ გააჩნდა, არ გააჩნია და არ ექნება რაიმე პირადი ინტერესი შესაფასებელი ქონების მიმართ;
- შემფასებლის ანაზღაურება დამოკიდებული არ არის შეფასების რომელიმე ასპექტზე;
- შემფასებლის განათლება შეესაბამება შეფასებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს;
- შემფასებელმა პირადად მოახდინა შესაფასებელი ქონების ინსპექტირება;
- ფაქტობრივი და სავარაუდო მონაცემები, რომელსაც ეყრდნობა შეფასების შედეგად მიღებული ღირებულების სიდიდე, შეგროვებული და შესწავლილი იქნა კეთილსინდისიერად და საფუძვლიანად;

ზოგადი ნაწილი

შემფასებელმა მოახდინა წარმოდგენილი უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული გარე განათების ბოდის (- 1-დან 100-მდე ერთეულის ; - 100-დან 500-მდე ერთეულის; - 500- დან 1000-მდე ერთეულის და - 1000 ერთეულის და მეტის შემთხვევაში შემთხვევაში, (შემდგომში „შეფასების ობიექტი“) სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით) შეფასება 2023 წლის იანვრის თვის მდგომარეობით.

ძირითადი ფაქტები და განმარტებები

შეფასების ჩატარების საფუძველი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 22 ივნისის N 30-302317351 წერილი.
ქონების ტიპი	სპეციალიზირებული
მიმდინარე გამოყენება	ფუნქციონალური დანიშნულებით
მესაკუთრე	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
დამკვეთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი
საგადასახადო გირავნობა	რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა/მოვალეთა რეესტრი	რეგისტრირებული არ არის
სამართლებრივი შეზღუდვა	რეგისტრირებული არ არის
შეფასების მიზანი	ბოდის სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის შეფასება
შეფასების გამოყენება	აუქციონის მიზნებისათვის.
შეფასების ბაზა	შეფასების საერთაშორისო სტანდარტი – 230 (ინტერესი უძრავ ქონებაში)
საბაზრო ღირებულება	შეფასებითი თანხა, რომლითაც აქტივი უნდა გაიცვალოს (იჯარით გაიცეს) შეფასების თარიღისათვის, გარიგების მსურველ გამყიდველსა და მყიდველს შორის, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ. „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ დადებულ გარიგებაში, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად.
ღირებულება სათანადო მარკეტინგული პერიოდის არარსებობისას	საბაზრო პირობები, რომლის დროსაც ამყიდველისათვის ხელმისაწვდომი არ არის მიზანშეწონილი პერიოდი მარკეტინგული ღონისძიებისათვის. ფასი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ამ პირობებში დამოკიდებული იქნება იძულების გამომწვევი ფაქტორების ხასიათზე და იმ მიზეზებზე, რის გამოც სათანადო მარკეტინგული ღონისძიებები ვერ გატარდა. იგი არ წარმოადგენს ღირებულების რაიმე კონკრეტულ საფუძველს, არამედ ასახავს იმ სიტუაციას, რომლის დროსაც გაცვლა ხორციელდება (გაყიდვა ვალაუვალობის ან/და იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში). სათანადო მარკეტინგული ღონისძიებისათვის მიზანშეწონილი დროის არარსებობა ახასიათებს ასევე გაცვლას აუქციონის (სახელმწიფო ქონების პრივატიზების) პირობებშიც.
საწყისი საპრივატიზებო ღირებულება/თანხა	სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას/მართვის უფლებით გადაცემისას საპრივატიზებო/მართვის უფლებით გადასაცემი ქონების მინიმალური ღირებულება, რომელზედაც ვაჭრობისას ხორციელდება ფასის მატება.
დასკვნის შედგენის თარიღი	23.06.2023
შეფასების ეფექტური თარიღი	23.06.2023
შეფასების მეთოდი	შესაფასებელი ობიექტის ღირებულების გამოთვლის წესი (ხერხი) შეფასების ერთერთი მიდგომის ფარგლებში;
ფასი	აქტივის შესაძენად მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გადახდილი თანხა, მოცემული მყიდველის ან გამყიდველის ფინანსური შესაძლებლობების, მოტივაციის ან სპეციფიკური ინტერესის გამო გადახდილი ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან, რომელსაც მოცემულ აქტივს სხვები ანიჭებენ;
თვითღირებულება	აქტივის შესაძენად ან შესაქმნელად (ასაშენებლად) საჭირო თანხა.
ღირებულება	მოსაზრება - ყველაზე მეტად მოსალოდნელი ფასის შესახებ, რომელსაც აქტივში გადაიხდიან გაცვლის პროცესში, ან აქტივის საკუთრებასთან
უძრავი ქონება	მიწა, შენობები და სხვა მიწაზე მყარად დაკავშირებული მატერიალური სახით გამოხატული გაუმჯობესებანი.

გაუმჯობესება	შენობა, აღჭურვილობა ან მიწის ნაკვეთის ცვლილება, რომელსაც გააჩნია მუდმივი ხასიათი და დაკავშირებულია შრომით და კაპიტალურ დანახარჯებთან და მოწოდებულია აამალოს ქონების სარგებლიანობა და ღირებულება. გაუმჯობესებას გააჩნია გამოყენების სხვადასხვა მახასიათებლები და ეკონომიკური სიცოცხლის სხვადასხვა ვადა.
შეფასების პრინციპები	სარგებლიანობის (გამოსადეგობის) პრინციპი - ღირებულების ძირითად კრიტერიუმად მოიაზრებს მის სარგებლიანობას, ანუ შესაძლებლობას დააკმაყოფილოს ადამიანების ესა თუ ის მოთხოვნილება; ჩანაცვლების პრინციპის თანახმად, ფასი შეთავაზებულ (გაყიდულ) ობიექტზე არ აღემატება ანალოგიური სარგებლიანობის მქონე ობიექტის შეთავაზების (გარიგების) ფასებს და რომ გაცნობიერებული მყიდველი საბაზრო ღირებულების სხვა კონცეპტუალური საფუძვლების არსებობისას, მასში გადაიხდის ანალოგიური ფუნქციონალური ობიექტებისათვის ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასის მეტ- ნაკლებად შესაბამის თანხას; მოლოდინის პრინციპი - ითვალისწინებს ქონების ფლობით მისაღები მომავალი ფულადი ნაკადების მოლოდინს; მოთხოვნა - მიწოდების პრინციპი - ნებისმიერი პროდუქციის ბაზარზე ფასები ყალიბდება მოთხოვნა-მიწოდების ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთზემოქმედებით; ცვლილების პრინციპი - ითვალისწინებს ფასებისა და ღირებულების დინამიკის ცვალებადობას დროის ფაქტორის შესაბამისად; გარე ფაქტორების ზემოქმედების პრინციპი - ეკონომიკური კრიზისი, დეპრესია, წარმოების ზრდა, ბუმი და სხვა სახის ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების გავლენა ობიექტის ღირებულებაზე.

I შეფასების ხარისხის სერთიფიკატი

მოცემულ ანგარიშის ხელის მომწერი შემფასებლები (შემდგომში შემფასებლები) ნამდვილად ადასტურებენ, რომ მათ ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით:

- ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია არის სარწმუნო და შეესაბამება სინამდვილეს.
- ანალიზი და დასკვნები, რომელსაც შეიცავს ანგარიში ეკუთვნით შემფასებლებს და ნამდვილია მკაცრი შეზღუდვების და დაშვებების საზღვრებში, რომლებიც წარმოადგენენ მოცემული ანგარიშის ნაწილს.
- შემფასებლებს არ გააჩნიათ აწმყოში და მომავალში რაიმე დაინტერესება შესაფასებელ ობიექტთან და მოქმედებენ მიუკერძოებლად.
- შემფასებლის ჰონორარი არ არის დამოკიდებული შეფასების საბოლოო ღირებულებაზე და აგრეთვე იმ მოვლენებზე, რომლებიც შეიძლება წამოიჭრან დამკვეთის ან მესამე პირის მიერ ანგარიშში მოცემული დასკვნების გამოყენებისას.
- შეფასება ჩატარდა და ანგარიში დაიწერა მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

- ანგარიშში მოყვანილი ფაქტები, რის საფუძველზეც იქნა ჩატარებული ანალიზი, გაკეთდა ვარაუდები და დასკვნები, შეკრებილია ჩვენს მიერ, ჩვენი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით და ჩვენი აზრით უტყუარია და არ შეიცავს ფაქტიურ შეცდომებს.
- შემფასებლებმა პირადად მოახდინეს შესაფასებელი ქონების დათვალიერება.
- მონაცემთა ანალიზის პროცესში არცერთი პირი არ უწევდა რაიმენაირ არსებით დახმარებას ანგარიშის ხელისმომწერ შემფასებლებს.
- შემფასებლები ვალდებულებას იღებენ საიდუმლოდ შეინახონ ის მონაცემები, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მოცემული შეფასების შესრულების დროს. დამკვეთისგან წინასწარ მიღებული წერილობითი თანხმობის გარეშე არ გასცენ საერთო ან ნაწილობრივი ინფორმაცია მესამე მხარესთან.

II შემზღუდავი პირობები და დაშვებები

ისევე, როგორც ნებისმიერი შეფასებისას, მოცემულ შეფასების პროცესს თან ახლდა შემზღუდავი პირობები. ამიტომ შემფასებლის მიერ გაკეთებულია (მიღებულია) აუცილებელი დაშვებები:

- შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი შესაფასებელი ობიექტის საკუთრების უფლების იურიდიულ აღწერაზე საკუთრების უფლება ითვლება სარწმუნოდ. შესაფასებელი საკუთრების უფლება განიხილება, როგორც თავისუფალი რამენაირი პრეტენზიის ან შეზღუდვისაგან.
- იგულისხმება (ითვლება), რომ ქონება არ არის შეზღუდული რაიმე ვალდებულებებით და არ არის დატვირთული გირავნობით ან სხვა სახით
- განცხადების თანახმად შემფასებელმა უნდა დაადგინოს შესაფასებელი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, ანუ ყველაზე სავარაუდო ფასი დადგენილი თარიღისათვის
- შემფასებელი არ გულისხმობს რაიმე სახის ფარული ფაქტორების არსებობას, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შესაფასებელი ქონების ღირებულებაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას ასეთი ფაქტორების არსებობაზე
- შემფასებელი არ არის პასუხისმგებელი უძრავი ქონების იმ მდგომარეობის შეფასებაზე, რომლის აღმოჩენა შეუძლებელია ვიზუალური დათვალიერებით

- ანალოგებზე მონაცემები აღებულია გამოცემებისა და ფორმების ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელთაც გააჩნიათ ყველაზე მაღალი ნდობის ფაქტორი. ეს კი ამოწვეულია იმით, რომ შეფასების თარიღისათვის არ არსებობს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც შეიძლება გააჩნდეს მოძრავი ქონების ბაზარზე არსებული სიტუაციის ზუსტი ან მიახლოებული სტატისტიკური მონაცემები.

III. ძირითადი განსაზღვრებები:

შეფასების მეთოდი-შესაფასებელი ობიექტის ღირებულების გამოთვლის წესი (ხერხი) შეფასების ერთერთი მიდგომის ფარგლებში.

ფასი - ეს არის საქონლისა და მომსახურებისათვის მოთხოვნილი, შეთავაზებული ან გადახდილი ფულადი თანხა

შეფასების თარიღი-თარიღი, როდესაც განხორციელდა ობიექტის შეფასება.

ობიექტის შეფასების ღირებულების ჯამური სიდიდე-შეფასებული ობიექტის ღირებულების სიდიდე, რომელიც მიღებულია შემფასებლის მიერ ჩატარებული გაანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით.

დანახარჯი - წარმოადგენს ფასს, რომელიც გადახდილია საქონელსა თუ მომსახურებაში, ან ფულად თანხას რომელიც საჭიროა მომსახურების ან საქონლის შექმნისათვის

გამოყენებითი ღირებულება – შესაფასებელი ობიექტის ღირებულება, მიღებული იმ ვარაუდით, რომ იგი არ იქნება გაყიდული ღია, თავისუფალ და კონკურენტუნარიან ბაზარზე, არამედ გამოიყენება იმავე დანიშნულებით, როგორც გამოიყენებოდა შეფასების თარიღისათვის

გაცვლითი ღირებულება - შესაფასებელი ობიექტის ღირებულება მიღებული იმ ვარაუდით, რომ ობიექტი გაიყიდება თავისუფალ და კონკურენტუნარიან ბაზარზე, მოთხოვნა შეთავაზების პირობების წონასწორობისას

რეალური ღირებულება – არის გარიგების მსურველ კონკრეტულ მხარეებს შორის აქტივის ან ვალდებულებების გადაცემის სეფასებითი ფასი, რომელიც ასახავს მხარეთა ინდივიდუალურ ინტერესებს.

შესაფასებელი ობიექტის საბაზრო ღირებულება- სტანდარტის შესაბამისად ობიექტის

საბაზრო ღირებულება მოიაზრება, როგორც ყველაზე რეალური ფასი, რომლითაც შესაფასებელი ობიექტი შეიძლება გასხვისდეს ღია ბაზარზე კონკურენციის პირობებში, როდესაც გარიგების

მხარეები მოქმედებენ კეთილგონივრულად, ფლობენ ყველა აუცილებელ ინფორმაციას და ფასის სიდიდეზე გავლენას არ ახდენს რომელიმე განსაკუთრებული გარემოება.

„გამოილი ხელის“ პრინციპით ტრანსაქციისას ნიშნავს, რომ მხარეებს შორის არ არსებობს არავითარი განსაკუთრებული ან სპეციალური ურთიერთობები

განსაკუთრებული ნაწილი

ღირებულების შეფასება შემოსავლებითი მიდგომით.

ობიექტის ღირებულების განსაზღვრა

შესაფასებლად წარმოდგენილი ობიექტი წარმოადგენენ რკინისაგან დამზადებულ არამასიურ კონსტრუქციას. ჩვენს მიერ განხორციელდა ანალოგიური ბაზრის სეგმენტის კვლევა და ანალიზი, რომლის საფუძველზეც ჩამოგვიყალიბდა მოსაზრება, რომ ანალოგიური კონსტრუქციის შეძენის და მონტაჟის დანახარჯები (ჩანაცვლების ამორტიზირებადი დანახარჯები) 430-460 ლარის ფარგლებში მერყეობს (დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე).

ცვეთის სიდიდის დაანგარიშება

ფიზიკური ცვეთა %	ტექნიკური მდგომარეობის შეფასება	ტექნიკური მდგომარეობის საერთო მახასიათებლები
0-20	კარგი	დაზიანებები და დეფექტები არ გვხვდება, შესაძლებელია გვხვდებოდეს გარკვეული გაუმართაობები, რომელიც ექსპლოატაციის პროცესზე გავლენას არ ახდენს და რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია გეგმიური რემონტით
21-40	დამაკმაყოფილებელი	ელემენტები მთლიანობაში ვარგისია ექსპლოატაციისათვის. თუმცა შესაძლებელია მოითხოვდეს სარემონტო სამუშაოებს
41-60	არადამაკმაყოფილებელი	ელემენტების ექსპლოატაცია შესაძლებელია მხოლოდ რემონტის შემდეგ
61-80	ავარიული	ელემენტების მდგომარეობა ავარიულია, მათი ექსპლოატაცია შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური სარემონტო სამუშაოების შემდეგ ან აუცილებელია მათი შეცვლა
81-100	უვარგისი	ელემენტების მდგომარეობა უვარგისია

დაგროვებული ცვეთის სიდიდე 30 %-ით იქნა განსაზღვრული, შესაბამისად ჩანაცვლების ნარჩენმა ღირებულებამ 320 ლარი შეადგინა.

„შეფასების ობიექტი“ დამქირავებელს არ გადაეცემა მთლიან სარგებლობაში, იგი იჯარით იღებს უფლებას ელექტროგადამცემი ანძები გამოიყენოს თავისი კაბელების დასამაგრებლად, რაც არ გამორიცხავს „შეფასების ობიექტის“ გამოყენებას, მესაკუთრის მიერ, პირდაპირი დანიშნულებით. აქედან გამომდინარე, მიღებული შედეგი დაკორექტირდა 0.1-ით, შესაბამისად ჩანაცვლების ამორტიზირებადი ღირებულება 288 ლარით იქნა განსაზღვრული.

კაპიტალიზაციის კოეფიციენტი

შემოსავლიანობის განაკვეთის (საშემფასებლო პრაქტიკაში მას კაპიტალიზაციის განაკვეთი (CapRate) ეწოდება) სიდიდის განსაზღვრის მიზნით გამოყენებული იქნა საბაზრო ამოკრების მეთოდი (ტესტირება განხორციელდა კომერციული დანიშნულების ფართებზე). საიჯარო ქირისა და საბაზრო ღირებულების მაჩვენებლების გამოყენებით შემდეგ ფორმულაზე დაყრდნობით - $MV=NOI/Ro$ ზოგადად უძრავი ქონების ობიექტებზე შემოსავლიანობის განაკვეთი 0,08-0,17-ის ფარგლებში მერყეობს. გამომდინარე იქედან, რომ შეფასების ობიექტი არ წარმოადგენს შემოსავლიან უძრავ ქონებას, კაპიტალიზაციის კოეფიციენტის სიდიდე პირობითად 0,08-ით იქნა განსაზღვრული.

$MV= NOI/Ro$, სადაც MV – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება, NOI – სუფთა საოპერაციო შემოსავალი, Ro – კაპიტალიზაციის კოეფიციენტი.

ვაკანსიები და დანაკარგები ქირის ამოუღებლობიდან:

მოცემული მეთოდის მიზნებისათვის იგულისხმევა, რომ უძრავი ქონება გაქირავებულია მთლიანად და არ არსებობს დანაკარგები ქირის ამოუღებლობისაგან;

ხარჯები: ბაზარზე არსებული სიტუაცია აჩვენებს, რომ ასეთი ქონების გაქირავებისას მოქმედებს „ცივი ქირის“ პრინციპი. შესაბამისად ყველა ხარჯი გადადის მოიჯარეზე. შესაბამისად კონკრეტულ შემთხვევაში $PGI=NOI$.

შესაბამისად $NOI=MV \times Ro$, ანუ $NOI=4.2$ ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

ერთი ერთეული გარე განათების ბოძის სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის (ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით) ღირებულებად 4.2 ლარი განისაზღვრა.

- 1-დან 100-მდე ერთეულის შემთხვევაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით, ერთი ბოძის სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება (მოცემულ პირობებში, - 1 ერთეული ბოძის შემთხვევაში მიღებულმა წლიური საწყისი

საიჯარო ქირის ღირებულებამ 4,2 ლარმა კორექტირება არ განიცადა) 0.35 ლარით განისაზღვრა.

- 100-დან 500-მდე ერთეულის შემთხვევაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით, ერთი ბოდის სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება (მოცემულ პირობებში, - 1 ერთეული ბოდის შემთხვევაში მიღებულმა წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება - 4.2 ლარი დაკორექტირდა - 1,6667 კოეფიციენტით) 0,30 ლარით განისაზღვრა .
- 500-დან 1000-მდე ერთეულის შემთხვევაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით, ერთი ბოდის სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება (მოცემულ პირობებში, - 1 ერთეული ბოდის შემთხვევაში მიღებულმა წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება 4.2 ლარი დაკორექტირდა - 1.4 კოეფიციენტით) 0.25 ლარით განისაზღვრა.
- 1000 ერთეულის და მეტის შემთხვევაში შემთხვევაში, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების განთავსების მიზნით, ერთი ბოდის სარგებლობის წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება (მოცემულ პირობებში, - 1 ერთეული ბოდის შემთხვევაში მიღებულმა წლიური საწყისი საიჯარო ქირის ღირებულება - 4.2 ლარი დაკორექტირდა - 1.75 კოეფიციენტით) 0.20 ლარით განისაზღვრა

„ცვლილების პრინციპის“ თანახმად, ყველა შეფასება მიბმულია განსაზღვრულ თარიღთან, იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები დინამიურია და მასზე პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ღირებულების ცვალებადობა. შესაბამისად შეფასების პერიოდისათვის ჩამოყალიბებული მოსაზრება შეფასების საგნისა და ღირებულების შესახებ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სხვა პერიოდში, გარდა შემფასებელთა მხრიდან წერილობით დადასტურებული შემდგომი რჩევისა.

დირექტორი
გ. ჯიბლაძე
შემფასებელი
ს. ბაკურაძე





ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022758155 - 19/10/2022 13:29:52

მომზადების თარიღი
20/10/2022 12:23:10

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	საზოგადოებრივი ობიექტი	ობიექტის ტიპი: ელექტროგადამცემი ხაზი
27	00	336	ობიექტის აღწერა: ელექტროგადამცემი ხაზი
			ობიექტის სიგრძე: 2498.44 მ.
			დაფარვის ზონა: ქ. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩა
			საკუთრების ტიპი: საკუთრება
			დამატებითი მახასიათებლები: საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის ობიექტი
			წერტილოვანი ობიექტი: 70 ერთეული გარე განათების კონსტრუქცია (საყრდენი ბოძი)
			წინა საკადასტრო კოდი :

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882022738427 , თარიღი 11/10/2022 08:55:52
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/10/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N30.30222835 , დამოწმების თარიღი:10/10/2022 , ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

მესაკუთრეები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი , ID ნომერი:233730139

მესაკუთრე:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრიდან:

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვაღით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავეთი განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



საკადასტრო გეგმა

საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:

27.00.336

ობიექტის ტიპი: ელექტროგადამცემი ხაზი

განცხადების ნომერი:


882022738427

სიგრძე:

2498.44 მ (WGS 84 / UTM zone 38N)

მომზადების თარიღი:

18/10/2022



პირობითი აღნიშვნები:

	ნაკვეთის საზღვარი		მშენებარე ნაგებობა		აშენებული ნაგებობა		ქარსაფარი ზოლი
	საზომრივი ნაგებობა		ტყის ფონდი		ვალდებულება		